



საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
**სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო**  
**უნივერსიტეტი**

Legal Entity Public Law  
**SAMTSKHE-JAVAKHETI STATE UNIVERSITY**  
**აკადემიური საბჭო ACADEMIC COUNCIL**



ოქმი № 3

„22“ 03

2019 წ

**დადგენილება № 6**

„სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საშტატო განრიგი და სახელფასო ფონდი“-ში ცვლილებების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტისა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პიველი და მე-2 ნაწილებისა და 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 63-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამცხე- ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 13 მაისის N52/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ფ“ ქვეპუნქტისა და აკადემიური საბჭოს 2013 წლის 2 ოქტომბრის N51 დადგენილებით დამტკიცებული სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ტ“ ქვეპუნქტის თანახმად, აკადემიური საბჭო ადგენს:

- ვეტერინარიის ინტეგრირებულ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით შეტანილ იქნეს ცვლილება „სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საშტატო განრიგი და სახელფასო ფონდი“-ს აკადემიური პერსონალის ნაწილში და პროფესორის საშტატო ეთეული გაიზრდოს 6 ერთეულით, ასოცირებული პროფესორის საშტატო ერთეული გაიზარდოს 8 ერთეულით.
- დადგენილება დასამტკიცებლად წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს.
- დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
- დადგენილება განთავსდეს სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
- დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის დღიდან 1 თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე: ქ.ახალციხე კ.მებაღიშვილის ქ.N62.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,  
 რექტორი, ასოცირებული პროფესორი

2.

მავა ბერიძე